1.7 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მომსახურების ეფექტიანობის უზრუნველყოფა და ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომობა - (30 07)

**პროგრამის განმახორციელებელი:** სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო

ათას ლარებში

| პროგრამის კოდი | დასახელება | წლიური დამტკიცებული მოცულობა | წლიური დაზუსტებული მოცულობა | საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება | საკასო შესრულების % წლიური დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში | საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
|---|---|---|---|---|---|---|
| **30 07** | სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მომსახურების ეფექტიანობის უზრუნველყოფა და ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომობა | | | | | **107 404.5** |

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

- დასრულდა რუსთავის ავტოსატრანსპორტო საშუალებების დათვალიერების/ ექსპერტიზისათვის საჭირო ახალი შენობის სამშენებლო სამუშაოები;
- საანგარიშო პერიოდში დაიწყო და მიმდინარეობდა რუსთავში იარაღის რეგისტრაციისთვის და თეორიული გამოცდისთვის საჭირო ახალი შენობის სამშენებლო სამუშაოები;
- საანგარიშო პერიოდში დაიწყო და მიმდინარეობდა რუსთავში ავტოსატრანსპორტო საშუალებების განბაჟება, ექსპორტ/რეექსპორტისათვის საჭირო შენობის მშენებლობა;
- რუსთავში დაიწყო და მიმდინარეობდა იარაღის ბალისტიკისთვის საჭირო შენობის მშენებლობა;
- საანგარიშო პერიოდში ქ. რუსთავში დასრულდა მართვის მოწმობის პრაქტიკული გამოცდის მოსაცდელის მინით შეფუთვის სამუშაოები;
- საანგარიშო პერიოდში ქ. რუსთავში C, CE, D, A კატეგორებისათვის საჭირო მოედანზე დაიგო ასფალტი;

- საანგარიშო პერიოდში დასრულდა ქ. ოზურგეთში მართვის მოწმობის პრაქტიკული გამოცდის მოედნის მოსაცდელის მოასფალტება;
- ქვეყნის მაშტაბით განხორციელდა მართვის მოწმობის პრაქტიკული გამოცდის მოედნების და ავტომანქანების ახალ საგამოცდო სისტემაზე გადაყვანა;
- საანგარიშო პერიოდში შესყიდულ იქნა 8 ერთეული სახელმწიფო სანომრე ნიშნების საბეჭდი აპარატები, რითაც აღიჭურვება რეგიონალური დანაყოფები, შესაბამისად შესამლებელი გახდა ყველა რეგიონში დაკარგული/დაზიანებული ნომრის აღდგენა და ფასიანი ნომრის შეკვეთა და ადგილზე დამზადება;
- საანგარიშო პერიოდში შესყიდულ იქნა პრაქტიკული გამოცდისათვის საჭირო ავტომანქანების საგამოცდო ტექნიკა;
- განხორციელდა მართვის მოწმობის პრაქტიკული გამოცდისთვის (მოტო, A1 და A2) 16 ერთეული მოტოციკლეტის შესყიდვა;
- საანგარიშო პერიოდში დაიბრენდა მართვის მოწმობის პრაქტიკული გამოცდისათვის საჭირო ავტოსატრანსპორტო საშუალებები;
- საანგარიშო პერიოდში შეიცვალა იარაღის მოწმობის დიზაინი და ხარისხი და გადავიდა თანამედროვე ლაზერულ ბეჭდვაზე და შესაბამისად შესყიდულ იქნა 200 000 ცალი ახალი დიზაინის მოწმობა;
- შესყიდულ იქნა სააგენტოს ცენტრალური სერვერი;
- განხორციელდა ნომრების ელექტრონულად შესარჩევი 4 ერთეული აპარატის (კომპიუტერი) შესყიდვა;
- შესყიდულ იქნა 9 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალების ვინ კოდის მარკირების აპარატი;
- საანგარიშო პერიოდში შესყიდულ იქნა 9 ერთეული მართვის მოწმობის, იარაღის მოწმობის და ავტოსატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო მოწმობის საბეჭდი ლაზერული პრინტერი;
- განხორციელდა სააგენტოს თანამშრომლებისთვის ზაფხულის და ზამთრის უნიფორმის შესყიდვა;
- სააგენტოს თანამშრომლების გადასაადგილებლად საანგარიშო პერიოდში შეძენილ იქნა 4 ერთეული ავტობუსი;
- საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის საჭირო საწვავების შეძენა;
- განხორციელდა შს სამინისტროსთვის საჭირო კომპიუტერების შესყიდვა;
- შესაბამისი თანხები გადაეცა შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი - ,,112“-ს;
- შს სამინისტროსთვის შეძენილ იქნა 70 ერთეული ავტომანქანა;
- ოპტიკურ მულტიპლექსორებში ჩაემატა SFP-მოდულები რის ხარჯზეც მოიმატა სასერვეროებს შორის გამტარუნარიანობამ;
- სრულად განახლებულია სასერვერო ინფრასტრუქტურა. მოძველებული კლასიკური არქიტექტურიდან, თანამედროვე ჰიპერკონვერგენტულ სისტემაზე;

- განახლდა უსაფრთხოების და შიფრაციის სერტიფიკატი;
- მიმდინარეობდა ავტომობილების რეგისტრაციის და აღრიცხვის პროგრამაზე მუშაობა, საანგარიშო პერიოდში დასრულდა და დაინერგა პირველი ნაწილი, კერძოდ, ავტომანქანების ექსპერტიზის/დათვალიერების და საბაჟო ოპერაციების სისტემა;
- სპორტული კლუბი - “MIA FORCE”-ის მიერ საანგარიშო პერიოდში დაიწყო და მიმდინარეობს სააგენტოს ტერიტორიაზე ავტომანქანების სადგომის მოწყობის სამუშაოები;
- სააგენტომ დანერგა ელექტრონული აპოსტილის სისტემა, კერძოდ სააგენტოს მიერ დამზადებული/გაცემული ელექტრონული დოკუმენტის (მათ შორის თარგმანის) დამოწმება შესაძლებელია ელექტრონული აპოსტილით. მიმდინარეობს ელექტრონული აპოსტილის ვებ-გვერდის ადაპტაცია, როგორც ახალი დიზაინის მიმართულებით, ასევე, მომხარებლისთვის ელექტრონული დოკუმენტის მიღების ხელმისაწვდომობის მიმართულებით;
- დამტკიცდა ახალი იარაღის სარეგისტრაციო მოწმობა, რაც უფრო დაცულს და სრულყოფილს ხდის აღნიშნულ დოკუმენტს, დიზაინის ცვლილებასთან ერთად, ცვლილებების შედეგად ახალი ფორმის იარაღის სარეგისტრაციო მოწმობაში აისახება სრულყოფილი სარეგისტრაციო ინფორმაცია, ასევე, მოწმობას გააჩნია მეტი დამცავი ნიშნები, რაც დოკუმენტს ხდის მაქსიმალურად დაცულს გაყალბების მცდელობისგან;
- დაიწყო იარაღის მაღაზიაში პირველადი რეალიზაციისათვის განკუთვნილი სანადირო ცეცხლსასროლი იარაღის ბალისტიკური შემოწმება;
- საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, 2021 წლის 6 დეკემბრიდან შესაძლებელი გახდა კვადროციკლი, ტრიციკლი, მოპედი, მსუბუქი კვადროციკლი რეგისტრაცია სააგენტოში. უფრო მოქნილი სარეგისტრაციო პროცესის დანერგვის მიზნით, სააგენტოსა და ტექნიკური ინსპექტირების ცენტრებს (PTI) შორის გაფორმებული სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში დაინტერესებულ პირებს ეძლევათ შესაძლებლობა სატრანსპორტო საშუალების დათვალიერება და პირველადი რეგისტრაციისთვის განკუთვნილი დოკუმენტაციია სააგენტოს წარუდგინონ სააგენტოში მოუსვლელად, პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრების (PTI) საშუალებით;
- ადგილზე მომსახურების გაწევის მიზნით, შესაძლებელი გახდა სააგენტოს თანამშრომლების განთავსება ავტოცენტრებში, ავტობაზრობებზე და სალიზინგო კომპანიებში;
- დაინერგა ახალი მომსახურება, რომელიც ითვალისწინებს ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ მონაცემების დაინტერესებული პირებისათვის (ბანკები, სადაზღვეო და სალიზინგო კომპანიები და სხვა) ელექტრონული ფორმით მიწოდების შესაძლებლობას;

- დაინერგა ელექტრონული პოს ტერმინალის (ბარათის გადახდის სისტემის) მეშვეობით მომსახურების საფასურების გადახდის სისტემა;
- მომსახურების სააგენტოს მობილურ აპლიკაციაში განხორციელდა მრავალი მიზნობრივი ცვლილება. ცვლილება მოიცავდა როგორც ძველი ვიზუალისა თუ ფუნქციის რეკონსტრუქცია-აღდგენას ასევე, არსებული ხარვეზების აღმოფხვრას და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, აპლიკაციას დაემატა ავტომობილის ნომრის განახლების სერვისი. შესაბამისად მომხმარებლისთვის გამარტივდა აღნიშნული სერვისით სარგებლობა, რაც გულისხმობს, რომ მომხმარებელს ახლა უკვე შესაძლებლობა აქვს დისტანციურად ისარგებლოს ნომრის შეცვლის სერვისით (საანგარიშო პერიოდში დისტანციურად ნომრის შეცვლის სერვისით ისარგებლა 20 000 მოქალაქემ).
- სააგენტოს დისტანციური სერვისების ჩამონათვალს დაემატა ახალი ფუნქცია რომელიც გულისხმობს მარტივი გზით ინფორმაციის მიწოდებას სხვადასხვა თანამშრომელი კომპანიებისთვის. (საპატრულო ჯარიმების ფასიანი სერვისი).
- სააგენტოს თანამშრომლებისთვის შესაძლებელი გახდა ელექტრონული ხელმოწერის სრული დატვირთვით გამოყენება. (შტამპი)
- სააგენტომ შესაძლებლობა მისცა იარაღით მოვაჭრე მაღაზიებს თავად მოემსახურონ მომხმარებლებს (სააგენტოსთან თანამშრომლობის ფორმატში, ნაწილობრივად). ამისათვის შეიქმნა საიტის შესაბამისი ვერსია, ინსტრუქტაჟი ჩაუტარდათ მაღაზიების წარმომადგენლებს.
- განახლდა WAF (ვებ აპლიკაციების ბრანდმაუერი) რამაც მეტად უსაფრთხო გახადა მომსახურების სააგენტოს გარე სერვისებით სარგებლობა.
- მოხდა მომსახურების სააგანტოს ნაწილი აპლიკაციების გარდაქმნა და მათი სატესტო რეჟიმში გაშვება კონტეინერებში, ყველაზე თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად.
- შეიქმნა ახალი მონაცემთა ბაზა(postgresql) ახალი აპლიკაციების დასანერგად.
- მოხდა Oracle მონაცემთა ბაზის მიგრაცია ახალ სასერვერო ინფრასტრუქტურაში.
- სააგენტოში შეიცვალა და განახლდა მთავარი საკვანძო ქსელების ინფრასტრუქტურა, რითაც გაუმჯობესდა ქსელის მდგრადობა, უსაფრთხოება და წვდომადობა.
- სააგენტოს მთავარი საკვანძო ქსელების ოპტიკური კავშირის დამატებითი ხაზებისთვის მოხდა ოპტიკური გამსხივებლების შეძენა და ინსტალაცია ოპტიკურ მულტიპლექსორში(DWDM).
- რუსთავის ცენტრალურ დეპარტამენტსა და სააგენტოს სხვა რეგიონალურ სამსახურებში შეიცვალა და განახლდა კომპიუტერული ქსელის access layer-ის კომუტატორები.
- სააგენტოს ცხელი ხაზისა და შიდა სატელეფონო სადგურისათვის მოხდა ლიცენზიების შესყიდვა და სისტემების განახლება.
- სააგენტოს ცხელი ხაზისათვის მოხდა დამატებით სამი მომხმარებლის ლიცენზიის შესყიდვა და გააქტიურება ცხელი ხაზის სისტემაში.

- სააგენტოს უსადენო კავშირის მოწყობილბებისათვისა და კონტროლერებისთვის მოხდა ლიცენზიებისა და მხარდაჭერის შეძენა-განახლება.
- რუსთავის ცენტრალური დეპარტამენტის ტერიტორიაზე მოხდა ოპტიკური კაბელებით დაქსელვა და სარეზერვო კავშირების აწყობა.
- სააგენტოს ოზურგეთის რეგიონალურ სამსახურში პრაქტიკული მოედნის ახალ შენობაში მოეწყო უსადენო და სადენიანი კომპიუტერული ქსელის ინფრასტრუქტურა.
- საანგარიშო პერიოდში მომსახურება გაეწია 677 308 მოქალაქეს და 19 549 ორგანიზაციას.

**დაგეგმილი საბოლოო შედეგები**

- გაუმჯობესებული, მოქნილი და მეტად ხელმისაწვდომი მომსახურება;
- განახლებული საგამოცდო ავტოპარკი;
- დამატებული ახალი საგამოცდო მოედნები;
- რეაბილიტირებული სააგენტოს ინფრასტრუქტურა;
- განახლებული და ოპტიმიზირებული სააგენტოს IT ინფრასტრუქტურა.
- სააგენტოს კიბერ უსაფრთხოების შესაბამისი დონის უზრუნველყოფა.

**მიღწეული საბოლოო შედეგები**

- სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურება გაუმჯობესებული, მოქნილი და მეტად ხელმისაწვდომია;
- სააგენტოს ინფრასტრუქტურა რეაბილიტირებული და განახლებულია;
- განახლებულია და ოპტიმიზირებულია სააგენტოს IT ინფრასტრუქტურა.
- სააგენტოს კიბერ უსაფრთხოების შესაბამისი დონე უზრუნველყოფილია.

**დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები**

1. **დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი** - ყოველდღიურ რეჟიმში სააგენტო შესაბამის მომსახურებას უწევს ასეულობით მოქალაქეს, რომელთაგანაც 100% უზრუნველყოფილია მაღალი ხარისხის მომსახურებით; სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების მხოლოდ 2,5%-მდე არის მიღებული ელექტრონულად დისტანციური არხების გამოყენებით;

**დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი** - არსებული მაჩვენებლის შენარჩუნება. ელექტრონულად დისტანციური არხების გამოყენებით მიღებული მომსახურების 5%-მდე გაზრდა.

**მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი** - 2021 წელს დაგეგმილიდან განხორციელდა: საანგარიშო პერიოდში სააგენტომ მომსახურება გაუწია 677 308 მოქალაქეს და 19 549 ორგანიზაციას; ელექტრონულად დისტანციური არხების გამოყენებით მომსახურების მიღება გაზრდილია 5%-მდე.

**2. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი** - დღეის მდგომარეობით მართვის მოწმობის მოედნის პირობებში პრაქტიკული გამოცდის ავტოპარკი მთლიანად განახლებულია. ვინაიდან აღნიშნული ავტომანქანები არის საგამოცდო და ემსახურება მართვის არ მქონე მოქალაქეებს მიზანშეწონილია ყოველ 4 წელიწადში ერთხელ მოხდეს საგამოცდო ავტოპარკის სრულად განახლება;

**დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი** - შეძენილი 15 მსუბუქი ავტომანქანა.

**მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი** - არ განხორციელებულა.

**ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე** - სააგენტოს განვითარების ხედვაში პრიორიტეტების გადახალისება და განვითარების გეგმაში განხორციელებული ცვლილებები, შეძენილ იქნება 2022 წელს.

**3. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი** - დღეის მდგომარეობით მართვის მოწმობის ყველა სხვა, გარდა “A”, “A1”, B - კატეგორიის პრაქტიკული გამოცდის ჩაბარება ხდება მხოლოდ ქ. ქუთაისში და ქ. რუსთავში;

**დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი** - ქ. ფოთში მოწყობილი/დამატებული ახალი საგამოცდო მოედანი და შეძენილი 4 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალება შესაბამისი მისაბმელებით და აღჭურვილობით;

**მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი** - არ განხორციელებულა.

**ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე** - ქვეყანაში არსებული COVID-19 პანდემიასთან დაკავშირებული სიტუაციის გამო ვერ მოხერხდა საგამოცდო მოედნის მოწყობა. (2021 წელს სამშენებლო სამუშაოებზე გამოცხადდა ტენდერი და სრულად განხორციელდება 2022 წელს).

**4. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი** - სააგენტოს ინფრასტრუქტურა სრულად (100%-ით) არის რეაბილიტირებული;

**დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი** - არსებული რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურის შენარჩუნება. გარემონტებულია 18 შენობა.

**მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი** - 2021 წელს დაგეგმილიდან განხორციელდა: სააგენტოს ინფრასტრუქტურა სრულად რეაბილიტირებულია.

**5. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი** - დღეის მდგომარეობით ამბროლაურში არ ხორციელდება მოსახლეობისთვის სააგენტოს სერვისის (მართვის მოწმობის პრაქტიკული გამოცდის (B კატეგორია)) სრულყოფილად მიწოდება სტანდარტულად მოწყობილი მოედნის არარსებობის გამო;

**დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი** - ქ. ამბროლაურში მოწყობილი საგამოცდო მოედანი და აშენებული ახალი შენობა;

**მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი** - არ განხორციელებულა.

**ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე** - ქვეყანაში არსებული COVID-19 პანდემიასთან დაკავშირებული სიტუაციის გამო ვერ მოხერხდა ქ. ამბროლაურში საგამოცდო მოედნის მოწყობა და შენობის აშენება. განხორციელდება 2022 წელს.

**6. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი** - დღეის მდგომარეობით სააგენტოს არსებული სერვერული ინფრასტრუქტურის რესურსები საკმარისია, მაგრამ ვინაიდან სააგენტოში მიმდინარეობს ციფრული ტრანსფორმაციის პროექტი რაც გამოიწვევს სერვერული რესურსების შემცირებას და ასევე ვინაიდან სერვერულ ინფრასტრუქტურას გასდის ექსპლუატაციის ვადა, მიზანშეწონილია მომდევნო წლებში განახლდეს სერვერული ინფრასტრუქტურა;

**დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი** - სერვერული ინფრასტრუქტურის განახლება 100%;

**მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი** - 2021 წელს დაგეგმილიდან განხორციელდა: სერვერული ინფრასტუქტურა სრულად განახლებულია.

**7. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი** - დღეის მდგომარეობით სააგენტოში დანერგილია კიბერ უსაფრთხოების სხვადასხვა სისტემები, რომლებიც უზრუნველყოფენ: ინტერნეტიდან სააგენტოს კომპიუტერულ სისტემებზე შეტევისგან ან შემოღწევისაგან დაცვა/პრევენციას და დროულ რეაგირებისათვის I.T.-ის თანამშრომლების შეტყობინებას; სააგენტოს კომპიუტერულ სიტემებში მიმდინარე ქმედებების და მოვლენების ერთიან ინფორმაციულ საცავს, შემდგომში კიბერ უსაფრთხოების კუთხით ანალიზისთვის; მავნე პროგრამების გარედან შემოღწევის და სააგენტოს შიდა კომპიუტერულ სისტემაში გავრცელებისგან

დაცვა/პრევენციას; ინფორმაციის გადინების კონტროლს ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის შესაბამისად; სააგენტოს თანამშრომლებისათვის ვებ გვერდებზე წვდომის შეზღუდვების განხორციელებას სააგენტოს ინფორმაციული უსაფრთხოების და ორგანიზაციული პოლიტიკის შესაბამისად;

**დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი** - პროგრამული ლიცენზიების, მწარმოებლის და ლოკალური მხარდაჭერის განახლება 100 %;

**მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი** - 2021 წელს დაგეგმილიდან განხორციელდა: პროგრამული ლიცენზიების, მწარმოებლის და ლოკალური მხარდაჭერა სრულად განახლებულია.